სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/306

ქ. თბილისი 8 ნოემბერი 2018 ბ.

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, ითვალისწინებს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის რეგულაციას და ასევე, განსაზღვრავს „უმაღლესი

განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50[1]-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის - ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარების წესს:

2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გიორგი სალუქვაძე